



კომპანია „ეს შენ გეხება“ აპროტესტებს „მაესტროს“ კუთვნილი სატელიტური ანტენების დაყადაღების ფაქტს

11 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართვის საფუძველზე სასამართლომ ყადაღა დაადო ტელეკომპანია „მაესტროს“ კუთვნილ სატელიტურ ანტენებს.

პროკურატურის განცხადების თანახმად, „სატელევიზიო ანტენების უსასყიდლოდ გადაცემით ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტებზე, 2012 წლის 20 ივნისს დაწყებული გამოძიების ფარგლებში, დადგინდა იქნა, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია „ელიტა ბურჯის“ ხელმძღვანელ პირთა დავალებით, კომპანია „მაესტრომ“ საქართველოში შემოიტანა დიდი ოდენობით ანტენები.

გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული ანტენები კვლავ გამოყენებული იქნება მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად იმავე სქემით, როგორც ეს უკვე განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ მიერ“.

ამ საკითხთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ:

1. „ელიტ ბურჯისგან“ განსხვავებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ მიუღია გადაწყვეტილება ტელეკომპანია „მაესტროს“ რომელიმე პარტიასთან დაკავშირებით, ამ ორგანიზაციის სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე და არ მიუმართავს პროკურატურისთვის ამ საკითხის შესწავლის მიზნით. არც პროკურატურას და არც სასამართლოს საზოგადოებისთვის არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ „მაესტროს“ მიერ სატელიტური ანტენების შექმნა და მოსახლეობისთვის მათი დამონტაჟება რამენაირად უკავშირდება რომელიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობას.

2. როგორც ტელეკომპანიის ხელმძღვანელებისა და მფლობელის განცხადებიდან ირკვევა, აღნიშნული ანტენების შესყიდვა მოხდა ტელეკომპანიის ერთ-ერთი მფლობელის - მაკა ასათიანის მიერ, რომელსაც არ გააჩნია გაცხადებული საარჩევნო მიზნები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ უცვნია რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ პირად. შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის 25² მუხლის 1 და 2 პუნქტებით დადგენილი შეზღუდვები.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164¹ მუხლის მიხედვით, ამომრჩევლის მოსყიდვად ითვლება „საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან განწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება“. პროკურატურას არ

წარმოდგენია მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც ტელეკომპანია "მაესტრომ" საარჩევნო მიზნით ვინმეს გადასცა სატელევიზიო ანტენა, ან მისმა რომელიმე წარმომადგენელმა გააკეთა ასეთი მიზნის დამადასტურებელი განცხადება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ, რომ "მაესტროს" კუთვნილი სატელევიზიო ანტენების დაყადაღებით დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები. ხელი ეშლება დამოუკიდებელი ტელეკომპანიის განვითარებას, რაც სახელმწიფოს მხრიდან მედიაბიზნესში უხეშ ჩარევას წარმოადგენს. აღნიშნული ქმედებით ხელისუფლება აფერხებს პლურალიტური მედიასივრცის შექმნას, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს საარჩევნო გარემოს და ქმნის არათანაბარ კონკურენტულ პირობებს.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ მრავალფეროვანი ინფორმაცია. უახლოეს პერიოდში საზოგადოებას წარმოდგინოს შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც საფუძვლად დაედო ტელეკომპანია "მაესტროს" მიერ იმპორტირებული სატელევიზიო ანტენების დაყადაღებას.

მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს და სადამკვირებლო ორგანიზაციებს, ადეკვატური რეაგირება მოახდინონ წინასწარჩევნო პერიოდში დამოუკიდებელი მედიის საქმიანობის შეზღუდვისა და შეფერხების ფაქტებზე.